ოთხშაბათი, 12 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 274

ხელის მოწერის «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ფასდება 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

პარასკევს, დეკემბრის 21-ს,

**ტფილისის სოზრანიეს დარბაზში**

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

გაიმართება წარმოდგენა

I

**გ ა ყ რ ა**

კომ. გ. ერისთავისა. წარმო. იქნება პირველი მოქმ.

II

**მე მინდა კნეინა გავხდე**

კომ. ზ. ანტონოვისა, პირველი მოქმედება.

III

**ბიძიასთან გამოხუმრება**

კომ. ვოდევილი რ. ერისთავისა.

IV

**რაც გინახავს, ველარ ნახავ.**

კომ. ავ. ცაგარლისი, წარმ. იქნება მეორე მოქ.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი მ. საფაროვ-აბაშიძისა და დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტები, ბ-ნ ვ. აბაშიძის რეჟისორობით.

**წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული**

**ც ე კ ვ ა**

დარბაზში დაუკრავს საზანდარი და სამხედრო მუსიკის ორკესტრი.

ბილეთები იყიდება წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში. (5—2)

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.**

ოთხშაბათს, 12 დეკემბერს, უკანასკნელი გასტროლი ოლ. ბორონატისა. წარმოდგენილი იქნება

**„ ტ რ ა ვ ი ა ტ ა “.**

ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ვერდისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ოლ. ბორონატი, გორინა, ოვსიანიკოვა; ბ-ნნი გავრილოვი, მახონი, გრინევი, დე-რობერტი, პავლოვსკი და სხვ.

კაპელმეისტერი: **გოლდინკინი.** დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი**: 13 დეკემბერს პირველად «ასე სთქვა მეფემ». 15 დეკემბერს ბენეფისი სიბირიაკოვისა—„დემონი“. (0—19)

---

**ძმ. ნიკიტინებ. ს ცირკი.**



12 დეკემბერს, 1907 წელს, ექსტრო-ორდინალური წარმოდგენა სამ განყოფილებად. მონაწილეობას იღებს ცნობილ აკრობატთა ოჯახი ბრუნო—შვიდი სული. შესანიშნავი ცხენოსანი ქ-ნი სტროკაიდ ჟოკეი ჩიოტი. ჰაერში ფრენა. დასასრულ დიდი პანტომიმა—ბალეტი „არკადია“. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწვრილებით პროგრამებში. დირექტორი **აკიმ ნიკიტინი**. (1—494—1)

---

**გამოვიდა და იყიდება**

დამდეგი **1908** წლის

**დროების კალენდარი**

**ფასი 35 კაპ.**

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 50 ცალისა, იმას დაეთმობა 20% დაკლებით.

მისამართი: ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა, სტამბა «იდეალი», **სტეფანე ბაშინჯაღიანს.**

---

**თამბაქოს ქარხანა**

საaქ. საზ. **„მირისა“** ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

**არომატ**

საუკეთესო I ხარისხის თამბაქოსას

10 ცალი 5 კაპ. 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—19)

---

**მოსკოვის საფაბრიკო მაღაზია**

მამაკაცების, დედა-კაცების და ბავშვების დამზადებულ ტანისამოსისა

**„ექსელანსი“**

გოლოვინის პროსპ., მანთაშოვის სახ. საზოგ. საკრებულოს ქვეშ,

**აცხადებს,**

რომ, „ექსელანსის“ ამხ—ბის გამგეობისაგან მიღებულ განკარგულებით, ყველა საქონლის ფასები

**დაკლებულია.**

მომავალ დღესასწაულებისთვის მიღებულ იქნა დიდ-ძალი პიჯაკები, ვიზიტკები, სერთუკები და ფრაკები, შარვლები, ჟილეტები „ფანტაზია“, ქალებისა და ვაჟების გაუჟღენთავი წამოსასხამები, პალტოები საზამთრო კარაკულის ტყავის საყელოთი, ფორმები ყველა სასწავლებლის ტანისამოსისა; რუსეთის და საზღვარ-გარეთის მატერიებისა; აგრეთვე ქალების ტანისამოსი უკანასკნელ მოდებისა. დიდ-ძალი პლიუშის ჟაკეტები.

**ფასები საქარხნო და შეუვაჭრებლად**

„ექსელანსის“ ამ—ბამ კრივოიროგის გამოფენაზე მიიღო

**ოქროს მედალი**

(10—493—1)

---

ბავშვთა იაფ-ფასიანი და უზრუნველ-ყოფილ აღზრდა-განათლების სამზრუნველოს სასარგებლოდ გამართული იქნება კვირას, 16 დეკემბერს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში

**დიდი სეირნობა**

ლატარია-ალეგრით.

საშობაო დიდი ფეხული: „ყინვას პაპა“, ანგელოზები, მტრედები, პეპლები, პეიზაჟები, კლოუნები, ალქაჯები, ბადიანები და სხვა და სხვა **მკითხველს** ფეშქაშები. ხორო მოლოზნოთა, ბალალაიკების, მერიკას და მანდოლინებისა. „კოტოკა“ გრამოფონი. გაიყიდება კონფეტები, ყვავილები, კონფეკტები, ფოსტა და ბუფეტი. (5-4)

---

**კახური ღვინო.**

პირველ ოქტომბრიდან ახლად გაიხსნა **კახური ღვინის სარდაფი** კახელ მევენახეთა

**თავ. ჯანდიერისა და არღუთინსკი-მხარგძელისა,**

სადაც ღვინის მომხმარებელთ ზომიერ ფასად შეუძლიანთ მიიღონ ნამდვილი კახური საუკეთესო ღვინო, ნამდვილი ყურძნის ნაწური. დარწმუნებულნი ვართ, რომ მომხმარებელნი კმაყოფილნი დარჩნენ.

სარდაფი მდებარეობს ქალაქ ტფილისში, ველიამინოვის ქუჩაზედ, აირუმოვის სახლში, № 7 „ველის-ციხე“..

უმორჩილესად ვთხოვთ ღვინის მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ ეტიკეტს. (21—343—18)

---

1907 წ. 6 დეკემბრიდან

ქ. ტფილისში გამოდის ყოველ-დღიური **საპოლიტიკო და სალიტერატურო**

გ ა ზ ე თ ი

**„ცის ნამი“.**

გაზეთი წლიურად ღირს ტფილისში 7 მ. 50 კ., ნახევარის წლით 4 მ., ერთის თვით **75** კ. რედაქცია დროებით მოთავსებულია ნიკოლოზის მოედანზე, ვართანოვის სახლში, № 1. ფოსტის ადრესი: **Тифлисъ редакція „Цисъ Нами“**. (3 3)

---

**სტუდენტი-ქართველი,** რომელსაც არავითარი სახსარი სწავლისათვის აღარა მაქვს, და ამის გამო მრავალი დრო უნაყოფოდ დამეკარგა, დაბეჯითებით ვსთხოვ კეთილ პირთ, დახმარება გამიწიონ ცოტა ხნით მეცადინეობისათვის ხელის მოსაკიდებლად, რასაც ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საჭიროა სამი თვის განმავლობაში (იან., თებ., მარტი), თვიურად არა ნაკლებ **25—30** მან. ზაფხულის თვეებში ვიშოვნი და პირველ სექტემბრისათვის ვალს უკან დაუბრუნებ დიდის მადლობით. ვუცდი 1 იანვრამდის. პასუხის მიღებისთანავე ჩემს ვინაობასაც მოვიწერ.

ადრესი: **Петербургъ. Главный почтамтъ, предъявателю вида на жительство отъ университета, № 14,900.**

(2—ფ.—2)

---

წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს ამით „საზოგადოების“ წევრებს, რომ წესდების მე 11 მუხლის ძალით, ვინც დეკემბრის დამლევამდის არ გადაიხდის

**საწევრო გადასახადს,**

მომავალ წლიდან ჩამოერთმევა წევრობა.

---

**ქ. თ ე ლ ა ვ შ ი**

ექიმი

**ნ. გ. მრევლოვი,**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—25)

---

ე ქ ი მ ი

**გ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას.** სპეციალური ექიმი **კუჭის და ნაწლავებისა.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ქავჭანიძისა(25—წლ.

---

ე ქ ი მ ი

**მ. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი. № 92. (წ.—ი—00)

---

**ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

**ს. ი. კერესელიძე**

გადავიდა **გეგუთის ქუჩაზე** პ ორუხაძის სახლში, (25—ფ.—11)

---

**ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი

**ე. დ. ნ ა ს ა რ ი ძ ე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

---

ე ქ ი მ ი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, .. 7 საათზე. ვერა ოლღას ქუჩა, № 25- (0—245)

---

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ ა ა ტ ე ნ ი ა ნ ც ი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩ. № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—89)

---

თვალის ექიმი

**ზ. მ. ც ხ ვ ე დ ა ძ ე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—8)

---

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

---

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—4)

---

**მედიცინის დოქტორი**

**მ. ი. მ უ რ ა დ ო ვ ი,**

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—21)

---

**ქ. ქუთაისში**

**ე ქ ი მ ი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე**

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და მინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—ნ.—32)

---

ე ქ ი მ ი

**ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

**კბილის ექიმი**

**ბალარჯიშვილი-მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, სად. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—23)

---

**ვპისრულობ**

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

---

## ტფილისი, 12 დეკემბერი.

მკითხველი, უეჭველია, მიაქცევდა ყურადღებას ჩვენს გაზეთში გუშინ წინ დაბეჭდილს ცნობას სახ. სათათბიროს 7 დეკემბრის სხდომის შესახებ. ამ დღეს მესამე სათათბირომ გამოსთქვა აზრი ამიერ-კავკასიის შესახებ,—აზრი ფრიად სასტიკი, დამამტკიცებელი იმისა, რომ დღევანდელ სათათბიროს უმრავლესობა გამსჭვალულია ბრმა სიძულვილით არა რუსთა მიმართ.

განსახილველი საგანი იყო—უკვე დაწყებული რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა ადგილებში შიმშილობა და დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის საჭიროება. მთავრობამ წარუდგინა სათათბიროს პროექტი, რომლით მოითხოვს დაუყოვნებლივ 7.732,000 მანეთის გადადებას დამშეულთა დასახმარებლად. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, ამ ჟამად დიდ გაჭირვებაშია სოფლის ხალხი რუსეთის 20 გუბერნიაში, მათ შორის ამიერ-კავკასიის გუბერნიებიცაა ჩათვლილი. მაგრამ, მთავრობის აზრით, უდიდეს გაჭირვებაშია ხალხი შემდეგ 14 გუბერნიაში: ტვერიდის, პსკოვის, კალუგის, ორლოვის, ვიტებსკის, ყაზანის, ვორონეჟის, ჩერნიგოვის, სმოლენსკის, ვიატკის, ორენბურგის, ნოვგოროდის, ტობოლის, სამარის და იმიერ ბაიკალისაში. აქ უკვე ამიერ-კავკასიის გუბერნიები აღარაა მოხსენებული. სათათბიროს კომისიამაც ეს 14 გუბერნია მიიღო მხედველობაში და წინადადება მისცა სათათბიროს, მთავრობის მიერ მოთხოვილ კრედიტი გადასდოს აღნიშნულ გუბერნიებში დამშეულთა დასახმარებლად.

7 დეკემბრის სხდომაზე ამ საკითხს გამოუწვევია უფრო პრინციპიალური კამათი, ვიდრე პრაქტიკული, ე. ი., ოპოზიციას აღუძრავს საკითხი მთელ ამ საქმის ორგანიზაციის შესახებ: ხალხის გამოკვების საქმე საზოგადოებრივ ძალებს უნდა გადაეცესო, ბიუროკრატია ვერ გაუძლვება ამასაო, მთავრობამ უნდა წარმოადგინოს სათანადო ანგარიში, როგორ მოიხმარა წინად გადადებული კრედიტი დამშეულთათვისაო და სხვა. რასაკვირველია, ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ოპოზიციის მოვალეობა იყო ამაზე მსჯელობა აღეძრა; მაგრამ არა ნაკლების ყურადღების ღირსი იყო თვით წარმოდგენილი კანონ-პროექტი. სახელდობრ, ფრიად საჭირო იყო გამორკვევა იმისა, თუ სად არის უკიდურესი საჭიროება და სად უნდა აღმოეჩინოს დახმარება დამშეულთ. დეპეშით გადმოცემულ ანგარიშიდან არა სჩანს, რომ სათათბიროს ამ მხარეზე მიექციოს ყურადღება. კავკასიის დეპუტატებს, მაგალითად, ულაპარაკნიათ ამ სხდომაზე, მაგრამ მათგან განსაკუთრებით მხოლოდ ბ-ნ საგათელიანცს მიუქცევია სათათბიროს ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ მთავრობის ცნობები არაა სრული და რომ შიმშილობა ამიერ-კავკასიაშიაც მძვინვარებს...

კამათის დასრულების შემდეგ სათათბიროსათვის წარუდგენიათ ორი სარეზოლიუციო ფორმულა და ამასთანავე დამატებითი ფორმულაც, რომელიც ამბობდა: მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამიერ-კავკასიაში დამშეულთ ხალხსაცაო. და აი, აქ გამოჩნდა სათათბიროს უმრავლესობის დამოკიდებულება განაპირა ქვეყნების მიმართ. 183 ხმით წინააღმდეგ 173 სა სათათბირომ უარჰყო ეს დამატებითი ფორმულა. უმრავლესობა შესდგა: მემარჯვენეთაგან, ზომიერ მემარჯვენეთაგან და ოქტომბრისტების მცირე ნაწილიდან. მაშასადამე, დღევანდელ სათათბიროს უმრავლესობა იმდენად გამსჭვალულია კაცთ-მოძულეობის გრძნობით, რომ ისეთი „პლატონიური სურვილიც“-კი არ გამოსთქვა, რომელიც, არ-

სებითად, არც არაფერს ავალებს მთავრობას, რას უნდა მოველოდეთ ასეთ პარლამენტისაგან, როცა საქმე სურვილების გამოხატვა კი არ იქნება, არამედ როცა ერი რეალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებამდე მიდგება?!

## სასიკვდილო მახე

ქართველს სხვაზე ფიქრი და წერა ეხერხება, თავის საკუთარ ჭირ-ვარამზე ფიქრსა და წერაზე კი ძლიან ზარმაცია; ჩვენ შეგვიძლიან უმაღლეს საკაცობრიო იდეალებით გავიმსჭვალოთ, შეგვიძლიან გულ-წრფელად ვიტიროთ, როდესაც სხვის გაჭირვებას დავინახავთ, რაც, რასაკვირველია, თავის თავად კარგი და შესაფერისია, მაგრამ ჩვენს საკუთარ უბედურებაზე ფიქრი და ამ უბედურების წინააღმდეგ ბრძოლა კი სასირცხვილოდ მიგვაჩნია.

ქართველი ხალხი მხნე მოკავშირე საქმარისა გაუხდა რუსეთის ხალხს. ეს სრულიად გახდა იმისთვის, რომ თავი გამოგვედო, რადაც კმაყოფილებას მოეცვა მთელი ჩვენი არსება და თეთრი მოგვჩვენებოდა იქ, სადაც ნორმალურ ადამიანის ნორმალური თვალი შავის მეტს ვერაფერს დაინახავდა. და, აი, იმ დროს, როდესაც ჩვენ „ინტერნაციონალურ" ჰანგებზე ვმღეროდით, იმ დროს, როდესაც მთელ რუსეთის რევოლიუციის მესვეურად გამოგვყავნდა ჩვენი თავი, როდესაც საკუთარ ცხოვრებაზე ფიქრი და ზრუნვა რეაქციონურ საქმედ გამოვაცხადეთ, მტერმა ერთი სასიკვდილო მახე დაგვიგო. ქართველ ხალხის გადაგვარების მძაფრმა პოლიტიკამ სულ სხვანაირი სახე მიიღო.

რუსეთის ბიუროკრატია იმითი არ დაკმაყოფილდა, რომ ქართველ ხალხს კულტურულ განვითარების ყოველ ნაირი საშუალება მოუსპო, მან ხალხის ეკონომიური კეთილ-დღეობის ძირის გამოთხრა მოისურვა და ამ აზრით ტერიტორიის ხელიდან გამოცლა დაიწყო. წინამორბედი ვარ[illegible]ების პოლიტიკის ამ ახალ „კურსისა" საგლეხო ბანკი გახდა. საგლეხო ბანკი სახელმწიფო მამულების ფონდის გაძლიერებაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე იმაზე, რომ გლეხებს მიჰყიდოს მამულები. ბრმა უნდა იყოს ადამიანი ან ძალით უნდა იბრმავებდეს თვალებს, რომ ვერა ჰხედავდეს, რათა სცდილობს ასე ძლიან ფონდის გაძლიერებას საგლეხო ბანკი. მაგრამ რუსეთის ბიუროკრატია მარტო ამ „ლეგალური" საშუალებით არ დაკმაყოფილდა. მან მოინდომა ერთბაშად მოეწყვიტა ფეხები ქართველ ხალხისთვის, სანამ მას ჯერ არ გამოუღვიძნია, არ გაუთვალისწინებია თავისი მდგომარეობა და ბრძოლას არ შესდგომია. რუსეთის ბიუროკრატია ხედავს, რომ ქართველ ხალხს სძინავს, ხედავს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, არ არის მიმართული ეროვნულ არსებობის დაცვისაკენ, და ესწრაფვის ხელ-საყრელ მომენტს. ბიუროკრატიამ ქართველ ხალხის მდგომარეობის პროცესის დასაჩქარებლად, ასე ვთქვათ, „არა ლეგალურ" საშუალებასაც მიმართა. რაში გამოიხატება ეს არა ლეგალური საშუალება?

ტფილისში გავრცელდა ხმა, რომ აქ დაარსებულა წრე რუსეთის კაპიტალისტებისა, რომელსაც აზრადა აქვს დასასახლებლად გამოსადეგი ადგილები შეიძინონ საქართველოში ყველგან, სადაც კი ეს მოსახერხებელია. კაპიტალისტთა წრეს კავშირი ჰქონია პეტერბურგთან; მეორეს მხრით აუარებელი აგენტი გაუჩენია აქვე და საქმეს ჩუმად აწყობს. აგენტები ყველაფერს საიდუმლოდ ინახავენ, მიწების გამყიდველებსაც საიდუმლოდ ინახავდა, საზოგადოდ, მოლაპარაკება და საქმის გაკეთება საიდუმლოთა ხდება, დადის აგრეთვე ხმა, რომელიც უტყუარ ფაქტებს ემყარება, რომ ბევრ ქართველ მემამულეს უკვე გაუმართავს მოლაპარაკება ამ წრესთან, ბევრს უკვე შეუკრავს პირობა, ბევრი კი გაფაციცებით ეძებს ამ წრესა და სურს მასთან მოლაპარაკება გამართოს. ერთის სიტყვით, ბიუროკრატიამ მახე დაგვიგო და ჩვენც საკუთარის ნებით თავსა ვყოფთ ამ მახეში. შრომასა და საქმიანობას გადაჩვეული, ზეზეურად გაზრწნილი თავად-აზნაურობა სიხარულით ცას ეწევა და ცდილობს, რაც შეიძლება, მალე მოიშოროს თავიდან მამული და თავისი ქონება ფულად აქციოს, რომ მალე ორ დღეში გაფლანგოს და უარეს პარაზიტად გადაიქცეს. ისტორიულ დანაშაულს ქართველ ხალხის წინაშე ჩვენი თავად-აზნაურობა იმითი აგვირგვინებს, რომ ქართველ ხალხს ცხოვრების უკანასკნელ საშუალებას—მიწასაც—ხელიდან აცლის და უცხოელის ხელში აგდებს. მაშ, ნუღარა „სწყინთ, როდესაც ეუბნებიან, რომ ჩვენი ბრწყინვალე წოდება ტყუილად ებღაუჭება „ქართველობას", რომ მას ქართველობა მხოლოდ მაშინ უნდა, როდესაც წურბელასავით დასწოლია გაძვალ-ტყავებულ გლეხებს და ყველა იმას, ვინც „გლეხების მხარს დაიჭერს.

თავად-აზნაურობა თავის საქმეების ლიკვიდაციას ეშურება... რუსეთის ბიუროკრატია დაუღალავად მუშაობს; ორივე მხარეს გაცხარებული მუშაობაა, დაფარული, ჩუმი, მაგრამ მხნე და სისტემატიური. ისინი რაღასა შვრებიან, ვინც ქართველ ხალხზე ზრუნვა თავს იდო, რასა შვრება ჩვენი საზოგადოება, რა ღონესა ხმარობს, რომ ხერხიანად დაგებულ სასიკვდილო მახეს თავი დააძვრინოს? არაფერს, სრულიად არაფერს. თმები ყალყზე გიდგება, როდესაც ჩვენს უმოქმედობასა და გულგრილობას მოიგონებ; ცივი ოფლი გასხამს ტანზე და მომავალს თრთოლვითა და შიშით შესცქერი.

როგორ მოიქცეოდა ჩვენს ადგილას კულტურიანი ერი? მოიქცეოდა ისე, როგორც პოლონეთი მოიქცა. ანალოგიურ პირობებში იმყოფებოდა გერმანიის პოლონეთიც. ბისმარკიდან დაწყებული დღევანდლამდე გერმანიის თვალ-ყური იქითკენ არის მიქცეული, რომ სიცოცხლე გაუწწაროს პოლონელებს, გადაავგაროს ისინი, წაართვას მიწა-წყალი და სრულიად აღგავოს დედამიწის ზურგიდან. გერმანიის მთავრობამ დააარსა განსაკუთრებული ბანკი, რომელსაც პოლონელებისაგან მამულები უნდა შეესყიდა და მერე გერმანელებისთვის გადაეცა. ამან საშინელი წინააღმდეგობა გამოიწვია პოლონელებში, რომელთაც ეროვნული ბანკი დააარსეს და საქმე ისე კარგად მოაწყეს, რომ არა თუ თვითონ არ დაჰკარგეს მიწები, გერმანელების მიწებიც კი შეიძინეს. როდესაც ბანკმა ვერაფერი გააწყო, გერმანიის მთავრობამ ისეთსავე საშუალებას მიმართა, რანაირსაც ეხლა რუსეთის ბიუროკრატია ხმარობს ქართველების მიმართ: კერძო კაპიტალისტები შეაკავშირა და იმათის შემწეობით მოისურვა მიწების ხელში ჩაგდება. მაგრამ ვერც ამ ხერხმა გასჭრა. ბრძოლის კულტურულ საშუალებით აღჭურვილი პოლონელები მედგრად შეებრძოლნენ მტერს, მთელი თავიანთი ძალღონე მოიკრიფეს და გამარჯვებულნიც ისინი დარჩნენ. ერი, რომელიც ჯერ კიდევ არ დასდგომია გადაგვარების გზას, ერი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა, უსათუოდ ასე მოიქცეოდა. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც, თუ სიცოცხლე გვსურს, თუ ქართველების პარაზიტებად გადაქცევა არ გვინდა, თუ საკაცობრიო ბრწყინვალე მომავლის მონაწილედ ჩვენც გვინდა ვიყოთ.

ქართველი საზოგადოება ვალდებულია კარზე მომდგარ უბედურებას ანგარიში გაუწიოს და იმის თავიდან ასაცილებლად შესაფერი ზომები მიიღოს. აუცილებლად უნდა დაარსდეს ქართული ეროვნული ბანკი, რომლის დანიშნულებაც უნდა იყოს თავად-აზნაურობისაგან მამულების შესყიდვა და ქართველ გლეხებზედვე გაყიდვა. თუ საქმე ამნაირად არ მოეწყო, რამდენისამე წლის შემდეგ ისეთს პირობებში ჩავვარდებით, რომ ქართველ ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცევა. ქართველი ინტელიგენცია, ყველა, ვისაც კი ხალხისთვის გული შესტკივა, ვალდებულია ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ უბედურებას, შეიკრიბოს, გამოსძებნოს საშუალება და დააარსოს ეროვნული ბანკი. იმ მემამულეებს კი, რომელნიც მიწების გაყიდვას ეშურებიან, ვალად ედებათ ცოტა აილაგმონ გაღვიძებული მადა და დაუცადონ, სანამ შეკავშირებული ძალა ქართველ საზოგადოებისა არ გამოსძებნის კარზე მომდგარ უბედურების ასაცილებელ საშუალებას.

**არ. ჯ—შვილი.**

## ახალი ამბავი

—:—

✦ **ახალი ჭირი.** ავლაბარში ამ ბოლო დროს რაღაც ჭირი გაჩნდა. ამ სენით უკვე გარდაიცვალა ორი კაცი—გიმნაზიის მოსწავლე. ავადმყოფები უეცრად გაშავდნენ და უეცრადვე გარდაიცვალნენ. ეს უცნაური ავადმყოფობა ექიმებს ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

✦ **ჩხრეკა.** ეს მესამე დღეა ავლაბარში ჩხრეკა და დაპატიმრებაა. მთელ უბნებს ალყას არტყამენ და ჩხრეკვენ. როგორც გადმოგვცეს, ბევრნი დაუპატიმრებიათ.

✦ **ხევსურების გაჭირვება.** ამ დღეებში პირიქით ხევსურეთიდან, 12 დღის სავალიდან ტფილისში ჩამოვიდა ორი ხევსური ვაჟიკაშვილი. ხევსურებმა შემოგვჩივლეს თავიანთი გაჭირვება. შიმშილი იქაც მძვინვარებს. ამ უბედურებას ზედ ისიც ემატება, რომ ხევსურებსა და მეზობელ ქისტებს შორის განუწყვეტელი ბრძოლა და შეტაკებაა. ქისტები ხშირად თავს ესხმიან ხევსურებს. ამ უკანასკნელთ იარაღი არა აქვთ, რომ პასუხი გასცენ. ჩამოსულებს აზრადა აქვთ, სთხოვონ კავკასიის უმაღლეს მთავრობას, რომ იარაღის ტარების ნება მიეცეთ ხევსურებს.

✦ **სომეხთა დეპუტაცია.** სომეხთა დეპუტაცია, რომელიც დამშეულ სომეხთათვის ხაზინიდან 3,600,000 მანეთს თხოულობს, 14 დეკემბერს წარუდგენს შუამდგომლობას კავკ. ნამესტნიკს.

✦ **წვრილ ვაჭართა კრება.** ტფ. წვრილ ვაჭართა კავშირს აზრადა აქვს თურმე გამოსცეს ქართული გაზეთი. ნებართვა უკვე უთხოვნიათ. რედაქტორად იქნება იოს. მერკვილაძე. სახელად გაზეთს „სავაჭრო გზა" ერქმევა.

✦ **წერილი ავტოკეფალიის შესახებ.** სამინისტროს ოფიციოზურ გაზეთის „როსსია"-ს მე-624 ნომერში დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით: „[illegible] საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ". წერილის შინაარსს [illegible] გავაცნობთ მკითხველებს.

✦ **გეტმანის პოლუბოტკოს მემკვიდრე რაჭაში.** ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ინგლისის ბანკში აღმოჩნდა 800 მილიონ მანეთიანი მემკვიდრეობაო. მეთვრამეტე საუკუნეში მალოროსიის გეტმანს პოლუბოტკოს შეუტანია ინგლისის ბანკში ფული, რომელიც სარგებლით ეხლა 800 მილიონს უდრის. მისი ჩამომავალნი დაფაცურდნენ. მემკვიდრეთა შორის აღმოჩნდა სამოკვასოვის გვარი. ერთი სამოკვასოვი გაჩენილა რაჭაშიაც. იმისი მამა მაზრის უფროსად ყოფილა რაჭაში, ქართველი ქალი შეურთავს და რაჭაშივე დარჩენილა. მას ჰყოლია შვილი, გაზრდილი, რომელმაც ეხლა ერთი სიტყვაც არ იცის თურმე რუსული. ეს ამბავი გაუგია ქუთაისურ ვექილს მხეიძეს, რომელსაც შეუტყობინებია სამოკვასოვისთვის ეს ამბავი და მისგან რწმუნების ქაღალდი მიუღია. მხეიძე შეჰკითხებია ინგლისის კონსულს ბათუმში და პასუხად მიუღია, რომ ეს ამბავი მართალია, ინგლისის ბანკში აღნიშნული თანხა არისო. გარდა ამისა მხეიძე დეპეშით შეჰკითხებია პროფესორს რუბეცს, რომელიც ამ საქმის ინიციატორია, და პასუხად მიუღია, რომ 1908 წელს 15 იანვარს ქალაქ სტაროდუბში მობრძანდითო.

✦ **განთავისუფლება.** გაზეთ „წყაროს" თანამშრომელნი ემელიანე და პ. კალანდარაშვილი, რომელნიც ამ ორი დღის წინად დააპატიმრეს, ისევ განთავისუფლეს.

✦ **ყუმბარების შენახვა.** ხვალ 13 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლოში გაირჩევა საქმე ნიკოლოზ იორდანოვისა, რომელსაც აბრალებენ ყუმბარების შენახვას.

✦ **ფულის გამფლანგველის მოკვლა.** ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ ბოლგარიაში მოუკლავთ დაშნაკცაკანების პარტიის წევრი ვართპატრიკოვი, რომელიც პარტიის 15,000 ფრანკის გაფლანგვისათვის პარტიიდან გაუდევნიათ.

✦ **კონცერტი აღარ შესდგება.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: „მოულოდნელ შემთხვევის გამო 18 დეკემბრისათვის დანიშნულ კონცერტი და ლექცია საარტისტო საზოგადოების დარბაზში აღარ შესდგება და ვისაც ბილეთები ნაყიდი ჰქონდა, ფული უკანვე დაუბრუნდება".

## ფელეტონი

### სოფლის ავი და კარგი

(შემდეგი *)

როგორ საზრდოობს გლეხი?

ერთხელ გამიწყრა ღმერთი და ხევსურის პურს გემო გავუსინჯე, მაგრამ ვინანე: ჩემს დღეში იმაზე უარესი არა მიჭამია-რა. არასოდეს არ დამავიწყდება ის ლუკმა! გარეთ-კახელ გლეხის პურიც მაინცა და მაინც ბევრად ვერა სჯობია ხევსურისას. შავია, მიწა-ნარევი და უგემური. გარეგნობით შავ მიწას უფრო ჰგავს, ვიდრე პურს. ამგვარი პურია საზრდო კახელ გლეხთა უმეტესობისა.

მაგრამ განა მარტო კახელ გლეხს აკლია საზრდო?! მთელი საქართველო, ეს ბუნებით მდიდარი, კურთხეული ქვეყანა, [illegible]. იმერელ გლეხის საზრდოს შეადგენს მჭადის „ხოხორა", ქართლელი გლეხი სჭამს შავ, გორგალა და მიწა-ნარევ პურს. ყველი და რძე ადარავის მოეძევება, მთიელთ გარდა, სამაგიეროდ ყველა პურის ნაცვლად ქერსა სჭამენ. ქართველი გლეხის ქალია მეტადრე მუდამ მშიერი. მე სოფლის ექიმი გახლავართ და ხანგრძლივმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ქართველი ქალი ადრე ბერდება. ხშირად ოცდა ხუთმეტის წლის დედა-კაცი სამოცის წლის დედაბერი გეგონებათ, იმდენად გამხდარია, დამჭკნარი და ღონე-მიხდილი. გასინჯვის დროს ასეთ ადამიანს ყოველგვარი ხრონიკული სენი აღმოაჩნდება ხოლმე: სისხლ-ნაკლულევანება, კუჭისა და წელების სნეულება, ფილტვების ავადმყოფობა და კიდევ, ვინ იცის, რა. და მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ სიყმაწვილიდან არა უჭამია-რა, თუმცა ყოველ ორ წელს თითო შვილი უზრდია, ძუძუ უწოვებია. დიაღ, მე არა მგონია იყოს ვინმე ქვეყანაზე ქართველ ქალისებრ თავზე ხელ აღებული: ოღონდ ქმარი გაძღოს და მძიმე მუშაობის ტვირთი შეუმსუბუქოს და თვითონ, თუ მხალი, ეკალა და სოკო არ დააკლდა, სხვას არაფერს დაეძებს. საცოდავმა რა იცის, რომ ადამიანის მსაზრდოებელ მასალას შეადგენს უმთავრესად პური და ხორცი, და დანარჩენს ყველაფერს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ, როგორც „შესაწებს", პირის გასაგემრიელებელს, მადის მომგვრელს და გასაძლიერებელს!

დიაღ, გავბედავ და ვიტყვი: ქართველ ერს საზრდო აკლია. და ამ გარემოების შედეგია ფიზიოლოგიური, გონებრივი და ზნეობრივი გადაშენება. განგებ ნუ დავიბრმავებთ თვალს, უშიშრად შევხედოთ სამწუხარო ჭეშმარიტებას და დროზე ვუშველოთ წამხდარ საქმეს. თორემ თუ ერს ჯანი და ღონე გამოელია, ვაჟკაცობა დაჰკარგა, დაძაბუნდა, დაღაჩრდა, გვიან-და იქნება: ყვავ-ყორანი დაეპატრონება ჩვენს მშვენიერ ქვეყანას და ქართველის სახელიც აღიგვება პირისაგან ქვეყნისა.

ეკონომიურ დაქვეითებას თან სდევს ზნეობრივი და გონებრივი დაქვეითებაც. და გულ-წრფელად უნდა აღვიარო, ბევრი ზნეობრივი სიდუხჭირე და სიმახინჯე შემიმჩნევია ჩვენს ერში. მკითხველს წარმოდგენილი ჰყავს ალბად ქართველი ქალი, როგორც ყოვლად პატიოსანი, ყოვლის ფრით უმწიკვლო და კეთილშობილი არსება, მაგრამ არა, აღარ არიან ძველი ქალები! დედა შვილს და ცოლი ქმარს აღარ აქეზებენ საგმირო საქმეზე. თითეული ქალი მხოლოდ თავის საპირადო ინტერესებს ემსახურება. ნურავინ იფიქრებს, ვითომ მამა-კაცები სჯობდნენ ამ მხრით დედა-კაცებს. „ერთობა, ერთობაო", რომ გაჰკიოდნენ, იმავე დროს ხშირად მგლობას სჩადიოდნენ. პრინციპი ერთმანერთის დახმარებისა თითქმის უარყოფილი იყო და არის. ყველას „ბრძოლა" ეკერა ენაზე: ბრძოლა თავადსა და აზნაურს, რაც უნდა გაჭირვებული ყოფილიყო ეს უკანასკნელი, ბრძოლა ბურჟუაზიას და მთავრობასაო! კარგი და პატიოსანი. დიალაც, მტერთან ბრძოლაა საჭირო, მაგრამ ბრძოლა წინ დახედული, შეგნებული და არა სტიქიური, უაზრო აბობოქრება, რომელსაც ყოველთვის დამარცხება მოსდევს. ამას გარდა მარტო ბრძოლის პრინციპს ვერ გავაღმერთებთ: არის მეორე, უფრო დიდი პრინციპი, რომლის განმტკიცება და განხორციელება ცხოვრებაში უფრო საჭირო და მნიშვნელოვანია. ეს არის პრინციპი ერთმანერთის დახმარებისა და სიყვარულისა. და სწორედ ეს დიდი პრინციპი იყო და არის შელახული და დევნილი ჩვენში.

მართლაც, „ერთობას" არაფრით არ გამოუჩენია თავი. გლეხებს არა ჰქონიათ და არცა აქვთ არც საერთო ყანები, ან სხვა საწარმოო და საალებ-მიცემო საქმეები, არც ერთმანეთის დასახმარებელი კასსები, არ დაუარსებიათ ამხანაგობანი და კავშირები. თითოეული თავისთვის, განმარტოებულად სცხოვრობს, ტრიალებს ჯორასავით თავის ოჯახში და მხოლოდ თავის თავისთვის ზრუნავს.

ბრძოლის პრინციპის გადაჭარბებულ გაღმერთებას ერთი სამწუხარო შედეგი მოჰყვა. გლეხებმა ბრძოლა გამოუცხადეს ვითომ და „აზნაურებს", რომელნიც მხოლოდ ქაღალდზე სწერიან აზნაურებად, თავის მდგომარეობით კი პროლეტარები არიან. ბევრ აზნაურს, ქვრივ ოხერს, წვრილ შვილების პატრონს, დატაკს სდევნიან მხოლოდ იმიტომ, რომ აზნაურია. განა ქვრივ-ოხერს თავისი ქვრივ-ოხრობა არ ეყოფა, რომ სოფელმა კიდევ ბრძოლა არ გამოუცხადოს დახმარებისა და შემწეობის ნაცვლად!

ჩვენში ხომ ყველაფერმა უკუღმართი და მახინჯი ელფერი მიიღო. განა ცოტა პატიოსანი კაცი მოჰკლეს ერის ნაძირალებმა „ერთობის" სახელით? მაგალითად, ხონში სანაძემ ურჩია რაზმელებს, მიეცათ იარაღი დამსჯელ რაზმისათვის, რომ სოფელი გადარჩენოდა აკლებას. და საკმაო იყო, რომ იგი მოეკლათ. მსგავსივე შემთხვევა იყო ცხინვალშიაც, სადაც მოჰკლეს ერთი პროპაგანდისტი იმავე უბრალო მიზეზის გამო. შორაპნის მაზრაშიაც მოხდა ამგვარი მაგალითები. თვით „ერთობის" დროს რომ იკლებდნენ, არბევდნენ და აუპატიურებდნენ თავადებს და თვითონ გლეხებს, განა ეს მგლობა არ იყო? რა ნება ჰქონდათ აწიოკებიათ დედა-კაცები და გულ-უბრყვილო ბავშვები?!. ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე აღარას ვიტყვით.

მაგრამ ნურც მარტო „ნაძირალებს" დავაბრალებთ ყველაფერს. „ნაძირალები" მხოლოდ ნაყოფია, აღმოცენებული ჩვენის ცხოვრების უკუღმართ ნიადაგზე. მთავარი მიზეზი ყოველგვარი სიავისა არის ის კერძოობა, პირად ინტერესების გაღმერთება, აღვირ-ახსნილი ეგოიზმი, რომლის შესახებაც ზემოდ ვილაპარაკე. სულ ყველა ნაძირალებიც რომ მოვსპოთ დღეს, უკუღმართ ცხოვრების ნიადაგზე დაიბადებიან და აღიზრდებიან მსგავსივე ნაძირალები.

გაიძახიან: ბურჟუებმა და მემამულეებმა ამ აგდეს ქვეყანაო, ისინი არიან ერთად-ერთი მიზეზნი ამ ქვეყნის უბედურებისა და სიავისაო. ცალ-მხრივი აზრია. რომ თვით ხალხში ყოფილიყო განმტკიცებული პრინციპი ძმობისა და ერთობისა, ბურჟუებსა და ფეოდალებს რა ძალა-და ექნებოდათ?! მაღალი კლასსები იზრდებიან ხალხის ცხოვრების უკუღმართობის ნიადაგზე, ხალხი საფუძველია, მაღალი კლასსები კი მხოლოდ კედელი. ამიტომ არ კმარა მარტო ბრძოლის პრინციპის ქადაგება. ცხადია, არც ეს პრინციპი უნდა იქმნას უარ-ყოფილი, მაგრამ ამავე დროს არ უნდა იქმნას დავიწყებული პრინციპი ერთმანეთის დახმარებისა.

შევეხოთ ახლა ჩვენი ერის უმეტესობის გონებრივ მხარეს. სამწუხაროდ, გონებრივს განვითარების მხრით კიდევ უფრო ღარიბია ხალხი, ვიდრე ქონებრივისა და ზნეობრივის მხრით. ჩვენ ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეების სიბნელეში ვართ ჩაფლულნი. როგორც იმ დროს სომეხი მართლ-მადიდებელთან არ დაჯდებოდა, კათოლიკე პროტესტანტთან, მორწმუნენი ერთი მეორის რწმენას ვერ ურიგდებოდნენ, ერთმანეთს ჭლეტდნენ და ხოცავდნენ, სწორედ ისე ირჯებოდნენ და ირჯებიან ჩვენი პოლიტიკური პარტიები. მეტადრე სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა მოგვაგონებს ძველ ორგანიზატორების საქციელს. ბედმა და ხალხის სიბნელემ ხელში ჩაუგდო ამ პარტიას ხალხის მეთაურობა. ამ „როლმა" სოციალ-დემოკრატია დააბრმავა, თავ-ბრუ დაასხა; მან თავისი ძალა და მნიშვნელობა გააზვიადა, სხვა პარტიებს დევნა დაუწყო, ხალხსა და მათ შორის ჩადგა, მიტინგებზე მოპირდაპირე ორატორებს ლაპარაკის ნებასაც კი არ აძ-

*) იხ. „ისარი" № 378.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს მოღვაწეობა ძალიან უფერულად მიდის. ეს მეორე თვეა მუშაობს ახალი საბჭო, მაგრამ ჯერ ისეთი არა გაუკეთებია, რასაც ოდნავ მაინც გამოეცოცხლებინოს ქალაქის თვითმართველობა. ბევრი საჩქარო და საჭირო საქმე მიძინებულია. ხმოსნები კვლავინდებურად ზანტად მოდიან, ასე რომ ცხრა საათისთვის ძლივს იკრიბებიან. 10 დეკემბერს საბჭომ სულ უმნიშვნელო და წვრილმანი საქმეები განიხილა. ბალნეოლოგიურ კომისიის წევრებად აირჩიეს 21 კაცი. შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით შეუდგნენ საუქციონო ზალის გამგის არჩევანს. გამგეს ჯამაგირად ექნება 600 მან. და შემოსავლის %-ები. ბარათებით 36 კაცმა დაასახელა მიხეილ ყიფიანი, ხოლო 14 კაცმა—ლისიციანი. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. 46 ხმით წინააღმდეგ 1 ხმისა ზალის გამგედ არჩეულ იქმნა მ. ქ. ყიფიანი. კომისიათა სახელმძღვანელო ინსტრუქციის შესახებ საბჭომ დაადგინა პროექტის შემუშავება მიენდოს გამგეობასთან ერთად კომისიის წარმომადგენლებს. ინსტრუქციის დამტკიცებამდე კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ მოსკოვის საბჭოს „ნაკაზით“. დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა იმ საკითხს, აღმოუჩინოს თუ არა შემწეობა შტატს გარეშე დარჩენილ ტეხნიკოსს კარაპეტოვს. თვით კარაპეტოვს უთხოვნია ერთ-დროულად 1800 მანეთი, ხოლო გამგეობას 400 მანეთი დაუნიშნია. საბჭომ 600 მან. გადაუწყვიტა. 17 საქმე გადაიდო.

◆ ქართულად გადაითარგმნა დრამა ს. ბჟდოისა „უმუშევარნი“.

◆ ტფ. საბადოსნო სკოლის მზრუნველი გ. ზ. ქანაჯოვი ამ თანამდებობას თავს ანებებს.

◆ 10 დეკემბერს პოლიციელებმა დააპატიმრეს გორის მაზრის მცხოვრები მიხეილ მეტრეველი, რომელსაც ჰბრალდება სხვებთან ერთად ავჭალის ქუჩაზე ნიკოლოზ ბაბუაშვილზე გასაძარცვავად თავდასხმა და თვით ბაბუაშვილის დაჭრა. მეტრეველი პასუხის გებაში მისცეს.

◆ ციციანოვის აღმართზე 10 დეკემბერს ცოტას გახდა უბედურება არ დატრიალდა. დილის 10 საათზედ აღმართზე მიმავალი ვაგონი № 39, დიანდაგის სისველისა გამო, უკან დაცურდა და ისე დაქანდა, რომ ვაგონში მჯდომნი ძალზე შეშინდნენ. კონდუქტორმა მგზავრები გაამხნევა, ნუ შეგეშინდებათო. ერთი მგზავრი იოსებ ტატოშვილი ვაგონიდან მაინც ჩამოხტა და ისე ძრიელ დაეცა, რომ ძალიან დაშავდა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. დაცურებული ვაგონი რკინის ქუჩამდე ჩამოვიდა და იქ შეაჩერეს. სხვა არავინ დაშავებულა.

◆ უკვე აღვნიშნეთ, რომ 9 დეკემბერს სოლოლაკის ქუჩაზე მეკურტნეს თავს დაეცნენ და ქვით ღვინიანი ბოთლები ამოუმტვრიეს. პოლიციამ ამის გამო 10 დეკემბერს დააპატიმრა ორი კაცი ნიკოლოზ მოგმიაშვილი და ლევან მანჩიაშვილი.

## ქუთაისის ქრონიკა

◆ ერთის თუ ორის თვის წინად დაარსებული ახალი საგენერალ-გუბერნატორო ოზურგეთისა და სენაკის მაზრისა გენერალ ტოლმაჩევის ოდესაში გადაყვანასთან მოისპო და ზემოხსენებული მაზრები კვლავ შემოუერთეს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროს. გენერალი სლავოჩინსკი საქმეების მისაღებად ოზურგეთს გაემგზავრა.

◆ თ—დ მინგრელსკის მამულის გამიჯვნის გამო, მომრიგებელი შუამავალნი ზუგდიდის მაზრისა იძულებულნი გამხდარან თავი დაენებებინათ სამხედრო აღწერისათვის. მათ მაგივრად, როგორც ამბობენ, დანიშნავენ ხალხის აღსაწერად სამხედრო სამსახურის აფიცრებს. მომრიგებელ შუამავლებს, როგორც მკითხველმაც იცის, საგლეხო საკრებულოს წევრის ბიბიკოვის მეთაურობით მინდობილი აქვთ ხელი შეუწყონ თავად მინგრელსკის მამულის გამიჯვნას.

◆ გადამდებმა სენით ავადმყოფობა ქუთაისში მეტად გავრცელდა. სახლს ვერ ნახავთ, რომ ავადმყოფი არ იყოს; ხშირად ერთი სახლიდან რამდენიმე ბავშვი გამოაქვთ დასამარხავად. ეს მიიღო მხედველობაში ქართულ გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ და საჭიროდ სცნო სამზრუნველო კომიტეტის თანხმობით, დათხოვნა გიმნაზიის უმცროსი კლასებისა მეექვსე კლასამდე. მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასებში სწავლა გაგრძელდება 20 ამ თვემდე. სხვა სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებშიც აღძრულა ამგვარივე საკითხი.

◆ გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში 9 დეკემბერს შესდგა მშობელთა კრებები, რომელთაც აირჩიეს დელეგატები. ამავე სასწავლებლების მოსწავლეებმა შუამდგომლობა აღძრეს გენერალ-გუბერნატორის წინაშე, რომ მოსწავლეებს აკრძალული არა ჰქონდეთ საღამოს 6 საათის შემდეგ ბინიდან გარედ გასვლა.

◆ გუბერნატორმა დაამტკიცა მოქალაქეთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ მოქალაქეებმა თვით მოაწყონ გახშირებულ ექსპროპრიაციების წინააღმდეგ ორგანიზაცია. 11 დეკემბერს ქალაქის გამგეობა იწვევს იმ კომისიას, რომელმაც მოქალაქეთა კრების მინდობილობით ქალაქი უნდა გაჰყოს უბნებად. ამ უკანასკნელებმა პასუხისმგებელი წარმომადგენლები უნდა აირჩიონ.

## პრესსა

პოლონეთის გენ. გუბერნატორმა სკალონმა ერთი ხელის მოსმით მოსპო პოლონეთის უძლიერესი განმანათლებელი საზოგადოება „მატიცა“. ამის შესახებ „რეჩი“ სწერს:

ადმინისტრატიულ განკარგულებით მოისპო პოლონელთა ეროვნული ორგანიზაცია, რომლითაც ამაყობდა 10 მილიონი პოლონელი და რომლის მოსპობას ისე იგლოვებს პოლონეთი, როგორც ეროვნულ უბედურებას. „მატიცა“ სულ ახალგაზრდა საზოგადოებაა. მან მხოლოდ რამდენიმე თვის წინათ გადაიხადა ერთი წლის იუბილეი. ერთ წლის განმავლობაში მან თავი მოუყარა 116,000 წევრს, რამდენსამე მილიონ მანეთს, დაარსა 500-მდე ბიბლიოთეკა, 300 თავშესაფარი, გახსნა 200-მდე სკოლა, ინახავდა, ეხმარებოდა და ხელმძღვანელობდა რამდენსამე ასეულ დაბალ და საშუალო სასწავლებელს და მის გარშემო იკრიბებოდა პოლონეთის საუკეთესო კულტურული ძალა.

სკალონმა უეცბ მოსპო ყველაფერი. მისი განკარგულება უდრის 3 ივნისის კანონს, რომელმაც შეამცირა უფლებანი „ინოროდცებისა“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მატიცას“ მოსპობა უფრო ძლიერ იმოქმედებს პოლონეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ვიდრე 3 ივნისის კანონი.

„ბირჟ. ვედ.“-იც ეხება პოლონეთის უბედურებას და ამბობს, რომ რუსეთის რეაქცია არც სხვას ინდობს:

მთავრობამ მოსპო „პოლონეთის სახლის“ განმანათლებელი მოღვაწეობა ადესაში, ებრაელთა სახალხო უნივერსიტეტი ვარშავაში, კერჩელ პედაგოგთა საზოგადოება, კიევის წ.-კითხვის საზოგადოება და სხვ. რა გვეთქმის ამაზე. ენა დაგვეღალა. მთელი საუკუნე ამაზე ვწერთ და ვლაპარაკობთ. არც არის საჭირო ამაზე ლაპარაკი, ვინაიდან შინაური ცუსიმა ფრაზებზე ძლიერია.

### შეკითხვა.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამასწინად თქვენის გაზეთის ერთ-ერთ მეთაურს წერილში გაკიცხული იყო რუსეთის თავად-აზნაურთა ამომრჩევლების საქციელი,—იმ ამომრჩევლებისა, რომელთაც არ ისურვეს და ქართველ თავად-აზნაურობას ერთი ადგილიც-კი არ დაუთმეს სახელმწიფო საბჭოში, წერილში, სხვათა შორის, გაკვრით იყო აღნიშნული, რომ ქართველ თავად-აზნაურობის მიერ გაგზავნილმა ამომრჩევლებმაო, ალბათ, ღირსეულად და მედგრად დაიცვეს ჩვენი ინტერესებიო. მაგრამ ამ ამბის შემდეგ ჩვენს საზოგადოებაში ისეთი ხმები გავრცელდა, რომელნიც, პირიქით, სხვა რასმეს ამტკიცებენ, სახელდობრ იმას, რომ ქართველ თავად-აზნაურობის წარმომადგენელთ ცოტა არ იყოს პირნათლად ვერ აუსრულებიათ თავისი მოვალეობა. შეიძლება, ეს ასეც არ იყოს და ჩვენ შორის ცრუ ხმებია გავრცელებული; მაგრამ, რომ არა ვიცით-რა? მის შემდეგ საკმაო დრომ განვლო, როგორც გავიგე—წარმომადგენლები კიდეც დაბრუნებულან პეტერბურგიდან და რატომ არ ჰსურთ გაგვაგებინონ საქმის ნამდვილი ვითარება? რაც მოხდა პეტერბურგს, შინაური საქმე როდი ყოფილა: მოხდა პოლიტიკური აქტი და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რამდენად ეს აქტი გამოწვეული იყო საერთო პოლიტიკურის პირობებით და რამდენად ჩვენი წარმომადგენლების ბრალიც არის, წარმომადგენელთა შორის ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლიც იყო და, ვფიქრობ, მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს—ანგარიში მისცეს თავად-აზნაურობას.

**აზნაური.**

### ვერხნეურალსკის გადასახლებულნი

(წერილი რედაქციის მიმართ).

ჩვენ, რიცხვით **17** კაცი ადმინისტრატიულად გადმოსახლებულნი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიიდან, ორი თვის წვალებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, ვეღირსეთ მოსვლას დანიშნულს ადგილს, ქ. ვერხნეურალსკს, ორენბურგის გუბერნიაში. ეტაპი პირველია აქ ჩვენი. მეორე დღეს დაგვიბარა აქაურმა მაზრის უფროსმა და გამოგვკითხა, ვინ რაზე ვართ გადმოსახლებულნი. მიიღო რა პასუხი, ჩამოგვართვა ხელწერილი, რომ კვირაში ერთხელ გამოვცხადდეთ ხოლმე პოლიციაში. ბოლოს გვითხრა, ეხლა წადით, თავისუფალნი ხართ, მხოლოდ იცოდეთ, აქ არაფერი უწესოება არ მოახდინოთ, თორემ... მოვთხოვეთ მაზრის უფროსს ტანისამოსი და თვიური პურის ფული, რომელიც ეძლევათ სხვა გუბერნიებში გადასახლებულ ამხანაგებს, მაგრამ პასუხი ეს იყო: „არაფერი ცნობა არ მომსვლია მაგის შესახებ ორენბურგის გუბერნატორისაგან და მე კი არ შემიძლიან ჩემის მხრით არაფრის მოცემაო.“

ჩვენც ავიღეთ ბარგი-ბარხანა, რაც-კი შეგვენარჩუნეს ეტაპში, და გამოვედით პოლიციიდან. ვიგრძენით ცოტა თავისუფლება, მაგრამ ვაი იმისთანა თავისუფლებას: უცხო ქალაქში შიშველ-ტიტველნი და უკაპეიკოდ ჯიბეში წავედით ქალაქში (ქალაქი ძალიან პატარაა) ბინის საძებნად. გამოველით რა პოლიციიდან, მთელმა ხალხმა ისე დაგვიწყო ყურება, თითქოს ადამიანები კი არა, მხეცები ვყოფილიყავით. [illegible] ვირთ ნამეტნავად [illegible] მელი და ყაბალახი [illegible] ლების შემდეგ [illegible] და ზოგიც ისევ პოლიციაში დაბრუნდა უბინაობის გამო.

მეორე დღეს გავიგეთ, რომ მაზრის უფროსი მიდის ორენბურგის გუბერნატორთან. მივედით ყველანი, მეორედ ავუწერეთ ჩვენი უკიდურესი მდგომარეობა, რომ მოგველის შიმშილით და სიცივით სიკვდილი. ისიც დაგვპირდა, აუწერ გუბერნატორს თქვენს მდგომარეობას და ვნახოთ, რას მეტყვის; მე კი ორი კვირის შემდეგ დავბრუნდებიო. ჩვენც ვუცდით იმის მოსვლას...

სამრეწველო დაწესებულება სულ ცოტაა აქ და ვინც მიმართა სამუშაოდ, ყველამ უარი მიიღო; სხვა სამუშაო არაფერია. ვართ ასე აუწერელ მდგომარეობაში. თუმცა ჩვენს ამხანაგებში ერთ-ორს ჩამოჰყვა რადაცა ორიოდე გროში, მაგრამ მათ გაუყვეს ვისაც არა ჰქონდა და ისინიც იმ დღეში ჩავარდნენ, რა დღეშიაც სხვები იყვნენ. ზოგმა საბანი გაჰყიდა, ზოგმა—პალტო, ზოგმა—ჩექმები და სხვა ნივთები, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ. აქ გამოდის ერთი პატარა გაზეთი, რომელშიაც გამოვაცხადეთ ჩვენი უკიდურესი მდგომარეობა და მივმართეთ აქაურ საზოგადოებას რითიმე ხელი გაემართა ჩვენთვის. ცოტაოდენი შემოწირულება შემოვიდა, რომელიც დავინაწილეთ ამხანაგებმა, ეხლა კი ვართ უკაპეიკოდ და უსახსროდ. აქ ძალიან ცივა და ზოგმა ამხანაგმა ვერ აიტანა სიცივე და ეტაპის უბედურება, და ეხლაც აქაურ საავადმყოფოში წვანან. კარგად მყოფნი დანატრიან მათ საავადმყოფოში წოლას, რადგან მათ ყველაფერი აქვთ.

საჭიროა დახმარება, რითაც კი შეიძლება, ამიტომ მივმართავთ ტფილისის საზოგადოებას არ დაგვივიწყოს და აღმოგვიჩინოს რამე საშუალება, რომ არ დავეცეთ სულით, ისედაც დაცემულნი. ვთხოვთ აგრეთვე გაზეთ „ისრის“ რედაქციას, იკისროს გამოგზავნა, თუ რამე შემოწირულება შემოვა ჩვენთვის, ამ ადრესით: „ვერხნეურალსკი ორენბურგის გუბერნია, სიმონ არიელაშვილს.“

ვთხოვთ სხვა გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს ჩვენი წერილი და აგრეთვე ნუ დაიშურებენ გვიგზავნონ თითო ცალი თავიანთ გამოცემისა.

ამხანაგობის მინდობილობით **პეტრე დ.**

---

ლევდა და, ასე გასინჯეთ, მათ წინააღმდეგ პასპორტებიც კი შემოიღო. ამგვარად, დევნილი სოციალ-დემოკრატია შეიქმნა მდევნელი და ხალხის გონების შემბორკველ-შემავიწროვებელი.

საკვირველია იმ პარტიის ფანატიკური რწმენა, ვითომ იგია ერთად-ერთი ჭეშმარიტი პარტია, რომელსაც შეუძლია იხსნას დაღუპვისაგან პროლეტარიატი და მთელი ქვეყანა! სწორედ ამგვარისავე რწმენით იყვნენ შეპყრობილნი საშუალო-საუკუნეთა მართლ-მადიდებელნი, კათოლიკენი და ინკვიზიტორები. მზგავსება საოცარია: როგორც იმათ სძულდათ კრიტიკა, წყვდიადის გამფანტველი და განმანათლებელი, ისე ჩვენს სოციალ-დემოკრატებს ეჯავრებათ მოპირდაპირეთა კრიტიკული ლიტერატურა და მჭევრმეტყველება და არავითარ საშუალებას არ ერიდებიან მათ დასამცირებლად.

ხალხი როგორ-ღა იქცეოდა? ტაშს უკრავდა ყოველ უგვანო საქციელს. რა კი ყური მოჰკრეს ამ პარტიის მოძღვრებას, თავი აღარ შეიწუხეს სხვა და სხვა მოძღვრებათა შესწავლით, ერთმანეთთან დაპირდაპირებით, და წინ-და-წინვე მიიჩნიეს ყველა სხვა პარტია მტრად, ყოველი არა-სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება შეცდომად. აქ საკვირველი არა არის-რა, რადგან გლეხის ტვინი არა ჩვევია კრიტიკას. ზნეობრივად პასუხისმგებელი მხოლოდ სოციალ-დემოკრატიაა, რომელმაც ხალხის გონებრივი განუვითარებლობა გამოიყენა თავის პარტიულ მიზნისათვის.

საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო აქ ერთი გარემოება. ქარხნის მუშები ძლიერ აზვიადებენ თავიანთ მნიშვნელობას და მედიდურად უყურებენ გლეხს, ინტელიგენტს, წვრილ ვაჭარს, ერთის სიტყვით—ყველას, ვისაც წილად არა ჰხვდა ქარხანაში თავის შეყოფა. მხოლოდ ჩვენა ვართ პროლეტარები, დანარჩენნი ბურჟუები არიანო. ასე გასინჯეთ, „პრიკაშჩიკიც“-კი, რომელსაც ხშირად თვეში ასი მანეთი ეძლევა, თავის თავს პროლეტარადა სთვლის, ხოლო ცხრა-ტყავ გამძვრალ გლეხს—წვრილ ბურჟუად! სიტყვა „ინტელლიგენტი“ ხომ საგინებელი შეიქმნა! ეს საცოდავი ლამის კაცობრიობის გარეშე გასტყორცნონ და „პარიად“ გამოაცხადონ. ვინ გინდა, რომ წიხლს არ ესროდეს მას: ყველა და, ასე გასინჯეთ, თვით ინტელლიგენტიც კი უშვერის სიტყვებით ლანძღავს და იგინებს თავის თავს! ასე გეგონება, ქვეყნის ბოროტების თავი-და თავი მიზეზი ინტელლიგენტი იყოს და მისი მოსპობით ბოროტება ძირიან-ფესვიანად ამოვარდესო! სადამდის მიდის კაცის დაბრმავება! ნუ თუ დამტკიცება სჭირდება მეცნიერებისა და ლიტერატურის დიდ მნიშვნელობას? და ნუ თუ ინტელლიგენციამ არ შექმნა ერთიც და მეორეც?! ინტელლიგენტის შრომა საზოგადო შრომის ერთი დარგია და ფრიად პატიოსანი, საჭირო, აუცილებელი და დიდ-მნიშვნელოვანი. ცხადია კი, რომ მოხელეთა მიერ ქაღალდების ჯღაბნვა და განკარგულებათა შეთხზვა ინტელლიგენტურ შრომად არ ჩაითვლება.

და საწყალი გლეხი, რომელსაც ტყავს აძრობს ჩარჩიც, ვაჭარიც და მოხელეც, ნუ თუ მუშა არ არის?! ვისა აქვს ნება უწოდოს მას თუნდ წვრილი ბურჟუა? და წვრილი ხელოსანი, თავის პატარა ქარხანაში მომუშავე, ხელ-მოკლეობით შევიწროვებული, ვანა მუშა არ არის? დიალ, ჩვენ დიდ ცოდვად მიგვაჩნია ამგვარი ტლანქი, მექანიკური დანაწილება კაცობრიობისა; ჩვენ ვაფასებთ ადამიანს იმიტომ კი არა, რომ იგი ქარხნის მუშაა, არამედ იმიტომ, რომ იგი მუშაა, სულ ერთია, გლეხია, ხელოსანი, ინტელლიგენტი, თუ კი მისი მუშაობა სასარგებლოა კაცობრიობისათვის. მიზეზი აზრთა ამგვარ არევ-დარევისა არის რაღაც უცნაური „დიალექტიკური“ ფილოსოფია, უარ-ყოფილი მეცნიერების მიერ.

საქარხნო მუშები გაიძახიან, გლეხები რეაქციონერები არიან, მარტო ჩვენა ვართ რევოლიუციონერებიო. ავიწყდებათ, რომ არც ერთი დიდი რევოლიუცია არა ყოფილა, რომ გლეხებსაც არ მიეღოთ მონაწილეობა მოძრაობაში. დიალ, კარგად უნდა ახსოვდეთ ქარხნის მუშებს, რომ, თუ გლეხები არ შეიერთეს, გაისრისებიან. იმედი აქვთ, რომ რუსეთში დადგება დრო, როდესაც საქარხნო მუშების რიცხვი გადააჭარბებს გლეხების რიცხვს. აი, ნამდვილი უტოპია! კაუტსკი რომ ფიქრობს ასე გერმანიის შესახებ, არ არის საკვირველი, რადგან გერმანია სამრეწველო ქვეყანაა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ, გერმანიაში თუ სოფლელთა რიცხვი არ იზრდება, მიზეზი ის არის, რომ გლეხები კოლონიებში მიდიან და იქ მრავლდებიან. რუსეთში კი კოლონიები თვით რუსეთის თვალ-გაუწვდომელი მინდვრებია და ციმბირი, რომელიც ზედ აკრავს რუსეთს. ამ მინდვრებში, თუ მეურნეობა განვითარდა, თუნდ ათასი მილიონი გლეხი დაეტევა. მეორე: რუსეთში რომ ასი მილიონი გლეხი ქალაქებს მიაწყდეს, ხომ შიმშილით დაიხოცებიან?! სად იქნება იმდენი ქარხანა, რომ ყველას გაუჩინოს საქმე?! თუ კი ამერიკაში გლეხების რიცხვი სჭარბობს საქარხნო მუშებისას, რატომ უნდა მოხდეს რუსეთში სასწაულ-მოქმედება, შეუძლებელი რამ?! მესამე: ინგლისში კაი ხანია, რაც გლეხების რიცხვი იმდენად მცირეა, რამდენადაც კი შეიძლება—სოფლელთა რიცხვი მცხოვრებთა მხოლოდ ერთ მეხუთედს შეადგენს, მაგრამ კაი ხანია იქ არც რევოლიუცია მომხდარა და არც სოციალიზმს გაუკვლევია გზა. ერთის სიტყვით, პოლიტიკური ეკონომია, ისტორია, ეთნოგრაფია, ყველა მეცნიერებანი უარ ჰყოფს სოციალ-დემოკრატიულ „დიალექტიკას“.

სოციალ-დემოკრატებმა მოსწამლეს მუშების აზრი პოლიტიკურ ცენტრალიზაციის სხამით. იმათი პოლიტიკური იდეალია დიდი, უზარ-მაზარი სახელმწიფო. უარ-ჰყოფენ სახელმწიფოს დანაწილებას პატარ-პატარა დამოუკიდებელ ქვეყნებად. კანონი უნდა მზადდებოდეს ერთ ცენტრში და სავალდებულო უნდა იყოს სახელმწიფოს ყველა ნაწილებისათვისო. ამ გვარ უმსგავსო იდეალს ეღტვიან ვითომდა საერთაშორისო მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის განსამტკიცებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი ისტორია კაცობრიობისა მოწმობს, რომ პოლიტიკური ცენტრალიზაცია აძლიერებდა მხოლოდ მონობას და არა ძმობას. ძველი საბერძნეთი იმიტომ აღემატებოდა ძველ რომს, რომ პირველი შესდგებოდა მრავალ პატარა დამოუკიდებელ რესპუბლიკისაგან, მეორე კი, რომი, წარმოადგენდა უდიდეს ცენტრალისტურ სახელმწიფოს.

დიდი უბედურებაა კაცობრიობისათვის, რომ საშუალო საუკუნეთა მეორე ნახევრიდან, რომის უფლების ზედ-გავლენით, იურისტები და მეცნიერები პოლიტიკურ ცენტრალიზაციას ჰქადაგებდნენ და დაარწმუნეს კაცობრიობა, ვითომ ცენტრალიზაციის გარეშე არ არის შველა. თანამედროვე სამხედრო სახელმწიფოები რომის უფლების საფუძველზე აშენდნენ და გაიზარდნენ; და, ასე გასინჯეთ, თვით შვეიცარიასა და ამერიკაშიაც კი არ არის უარყოფილი ეს პრინციპი. დიაღ, დიდი უბედურებაა ეს გარემოება, რადგან პოლიტიკურ ცენტრალიზაციის მძიმე ლოდის ზურგიდან გადაგდება შეუძლებელი გახდა. კაცობრიობას მანამდის არ ეშველება, სანამ კვლავ არ დამყარდება პოლიტიკური დეცენტრალიზაცია. მილიტარიზმი და ბიუროკრატია, ორი საშინელება, რომელმაც ამდენი ჭირი და ვაება მიაყენა კაცობრიობას, ნაყოფია პოლიტიკურ ცენტრალიზაციისა. სოციალ-დემოკრატებს კი უნდათ თხა და მგელი ერთად მოათავსონ, ცენტრალიზაციაც განამტკიცონ და მუდმივი ჯარი და ბიუროკრატიაც მოსპონ. უბრალო მომაკვდავი სწორედ ვერ გაიგებს ამ გვარ „დიალექტიკურ“ წეს-წყობილებას, თუ არ სოციალ-დემოკრატი, რადგან მხოლოდ იმას შეუძლიან თავის გამოქნილ „დიალექტიკის“ წყალობით შეარიგოს და შეათანხმოს ერთი-მეორის მოწინააღმდეგე მოვლენანი, შავი და თეთრი, ავი და კარგი!

სოციალ-დემოკრატებზე და ქარხნის მუშებზე იმიტომ შევჩერდი ამდენ ხანს, რომ იმათ მეტი გავლენა ჰქონდათ გლეხებზე, ვიდრე სხვა პოლიტიკურ პარტიებს.

დავუბრუნდეთ ახლა ისევ გლეხს. როგორია მისი პოლიტიკური იდეალი?!

**ვ. ჭ.**

(დასასრული იქნება)

# პროვინციის ცხოვრება

სიღნაღის მაზრა. „ნუ რომ წაიქცევა, ცეცხლი და ეცეცხლ ზედ მოადგებაო“, ზედ გამოჭრილია ეს ანდაზა ქიზიყისა და გარე-კახეთის გლეხობაზე. „ისარ“-ში არა ერთხელ იყო აღნიშნული აქაურ გლეხების გაჭირვება, მაგრამ გაჭირვების მიუხედავად მიწის მუშას მაინც არავინ ინდობს. რეაქციით გათამამებულმა ზოგიერთმა პირებმა, რომელნიც ერთის წლის წინად მეტადრე მაღლა გაჰყვიროდნენ დაჩაგრულ მუშათა და [illegible] ინტერესებზედ, ისევ მოიგონეს ძველი რჯული. [illegible] სიღნაღის მაზრაში [illegible]: კოდი ხორბალი 7 მანეთამდე [illegible], მაგრამ სამთავარიც არ არის. იმგვარად მეჩხერებით იმისთანა გლეხს, რომ [illegible] არ უღელობდეს. დღეს თუ ზოგიერთს ცოტაოდენი ხორბალი და ღვინო [illegible] ... ჩვენს მაზრაში მკვლელობა თუ არ მატულობს, არა კლებულობს, დღე არ გაივლის, რომ მკვლელობა არ მოხდეს [illegible] თავდასხმა და ძარცვა-გლეჯა ხომ ანგარიშში არა აქვს.

[illegible] სიღნაღის მაზრის ინტელიგენციას არ გვინდა გუსაყვედუროთ, მაგრამ მაინც გვაკვირვებს გულგრილობა ამ გვარ საქმეში, როგორიც, მაგალითად, ფულის შეგროვებაა ილიას ფონდის გასაძლიერებლად. [illegible]-შვილი.

სოფ. შუგიში (ქუთაისის მაზრა). წინად მთელს იმერეთში ისეთი კარგი და ბარაქიანი მოსავალი არსად იცოდა, როგორც სოფ. შუგიში. ყველას თითქმის გასასყიდი სიმინდი ჰქონდა. მაგრამ ტყუილად არ არის ნათქვამი ხალხი ანდაზა: „ადმართს თავდაღმართი მოსდევსო“. წელს რეაქცია იმ დროს მიადგა ხალხს კარზედ, როდესაც მას მთელი წლის მოსავალი უნდა შეეგროვებინა. სამტრედიიდან ეწვივნენ სოფელს ბოქაულის მიერ გამოგზავნილი „სტუმრები“, გულმოდგინედ მიჰყვეს საქმეს ხელი და, მცირე მოსავლის მიუხედავად, ყველაფერი გაანადგეს: ადგილის ბეგა, დრამა, სახელმწიფო გადასახადები და სხვა. ამას ვინა იფიქრებდა, რომ „სტუმრების“ მოსვლით სხვა ზარალი არ მოსვლოდა სოფელს!..

უნაზდობითა და ქურდობით ეს სოფელი წინადაც არ იყო ჩამორჩენილი, და ახლა ხომ ყველას გადააჭარბა. ხიდთ ხონელი.

## ქართველ სამღვდელოების კრება

დღეს, 12 დეკემბერს, ტფილისის სასინოდო კანტორის შენობაში იხსნება ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება. კრება, როგორც თვით ეგზარხოსის კანცელარიის მიერ დაგზავნილ მიწერილობებიდანა სჩანს, დახურული და განსაზღვრულ ჩარჩოებში იქმნება ჩაყენებული. სამღვდელოების დეპუტატთა რიცხვიც ერთი-ორად შემცირებულია. რა და რა საგანი უნდა განიხილოს სამღვდელოების კრებამ—ეს ჯერ საიდუმლოებით არის მოცული. ამის გასაგებად რამდენიმე დეპუტატმა მიჰმართა ეგზარხოსის კანცელარიას, მაგრამ ვერავითარი ცნობა ვერ მიიღო. უეჭველია, კრებას რაღაც არა საკეთილო ლანდის ქვეშ უპირებენ გატარებას, თორემ არც ასე უხერხულ დროს დანიშნავდნენ. ქართველ სამღვდელოებას ძალიან ბევრი საჭირო საქმე აქვს განსახილველი და დასადგენი, ხოლო იმავე დროს ვადა მცირეა, სამღვდელოებამ რაც უნდა ბევრი დააჩქაროს საქმეთა განხილვა, დეკემბრის 20 რიცხვს ვეღარ გადააცილებს, რადგან საეკკლესიო ტიპიკონით დღესასწაულებში ყველა მღვდელი თავის სამრევლოში უნდა იყოს. მაშასადამე, საერო მთავრობასისა ჰქონია სახეში, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადა მისცეს კრებას, წინასწარ არ გააგებინოს განსახილველი საკითხები, დეპუტატები საქმის ვითარებაში მოუმზადებელნი შეახვედრინოს და მრავალი საკითხი აჩქარებით გადაწყვეტინოს თავის სასარგებლოდ.

თანამოძმე.

## მუშების ცხოვრება

დურგალთა ახალი პროფესსიონალური კავშირი. გაზეთ „წყაროს“ მე-35 ნომერში მოთავსებულია წერილი ვინმე მამა ადადისა, რომელიც ეხება დურგალთა ახალ პროფესსიონალურ კავშირს და პირადად მე. კავშირმა უნდა დაიცვას თავისი ადამიანობა, რომ ასე უტიფრად [illegible] მოწინააღმდეგე, რადგან აუხსნელ მიზეზების გამო მამა ადადი სწერს კავშირზე: „თუ დაუკვირდებით მათ მოქმედებას, ისინი არიან სულ ოთხი თუ ხუთი კაცი დურგალთა პროფესსიიდან და ისინიც ნამდვილი [illegible] და არა დურგლებიო“. [illegible] პასუხს მოგცემთ თვით დურგალთა პროფესსიონალური კავშირი [illegible]. ჩემს შესახებ მამა ადადი სწერს: „დურგალთა ახალ პროფესსიონალურ კავშირის წარმომადგენელს [illegible] ჰქონდა აღებული საქმე სამ ადგილას, რაც მხოლოდ ამხანაგს მიმას უთხრა, დანარჩენისთვის არ შეუტყობინებია“. მე კი გარწმუნებთ, სიმართლის მოყვარე მამა ადადო, რომ ჩემთან ერთად იმ მიმას, რომელსაც შენ იხსენიებ, თავის დღეში არ უმუშავნია და მით უფრო ზემოხსენებულ სამ საქმეში. ეს თქვენც კარგად გეცოდინებათ, რადგან იცით, რომ იმ საქმეებში ჩემთან ერთად მუშაობდნენ სხვა ამხანაგები, წევრნი ჩვენის პროფესსიონალურ კავშირისა. მამა ადადი იხსენიებს ჩემ მიერ აღებულ საქმეს და ჩერდება უკანასკნელზე. სანამდის ცილის წამებას დავუმტკიცებდე, მოვიგონებ წინანდელ საქმეებს. მე ავაშენე გასულ ზაფხულში სათავად-აზნაურო ბანკის საქმე ნარდად და ვმუშაობდით იმ საქმეზე ოთხი ამხანაგი კავშირისა მხოლოდ, როგორც თქვენც იცით, მიშა იქ არ მუშაობდა. მეორე საქმე ავიღე, პირველ საქმის შემდეგ, მე-5-თე ნაწილში ნარდათ, სადაც ვიმუშავეთ ორმა ამხანაგმა კავშირისამ, მხოლოდ არა მიშამ. მესამე, რომელზედაც მიშა ადადი ჩერდება და მე მატყუარად, დესპოტად და მაბეზღარად გამოგვყვარ, ეხლახან გავათავეთ. ეს საქმეც ნარდად მქონდა აღებული და ვმუშაობდით ოთხი ამხანაგი კავშირისა; აქაც მიშა არ მუშაობდა. წერილის ავტორი მაბრალებს, ვითომ მე ამელოს საკალატოზო საქმეც და ვამუშავებდე მათ 10 საათს, და როდესაც მათ მოუთხოვნიათ 8 საათის სამუშაო დღე, მე გადებას დავმუქრებივარ. ასეთს სიმართლის მდადებელო! მე არავითარი საკალატოზო საქმე არ ამიღია, ეს ხომ თქვენც კარგად იცით, მხოლოდ მე ინჟინერისაგან მუშების თანხმობით მიყავი დანიშნული უფროსს მუშად და ყველაფერს ყურადღებას ვაქცევდი. თქვენც კარგად იცით, რომ ჩვენ ვმუშაობდით დილის 8-დან ნაშუადღევის 4 საათამდე, რომლისაგან დილას ნახევარ საათს საუზმისთვის ვისვენებდით და შუადღისას საათს—სადილისთვის. ეხლა თქვენ დათვალეთ, ბ-ნო მიშა ადადო, თითებზე 10 საათი გვიმუშავია დღეში თუ მეტი. კიდევ ბრალს მდებს წერილის ავტორი, ვითომ ჩემი მასალით ვმუშაობდესრუეთ, ბატონო მიშა ადადო, მე ჩემი მასალით არ მიმუშავია ამ საქმეზე. მიშა ადადის უპატიოსნება იქამდის მივიდა, რომ მაბეზღრადაც კი გამოვყვევარ. მწამებს, ვითომ მე დამებეზღებინოს ინჟინერთან კალატოზების ამღელვებელი ნოქარი. ამის მოთმენა კი უთვლად შეუძლებელია. ჩვენ უნდა გავასამართლოს სამედიატორო სასამართლომ. უნდა აიხადოთ პირბადე და გამომყვეთ სამედიატორო სასამართლოში არა უგვიანეს ერთის კვირისა. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით მკითხველი და საზოგადოება მიჰხვდება, რა ვაჟბატონიც ბრძანდებით..

ახალ პროფ. კავშირის წევრი

შაქრო კოკელაშვილი.

## რუსეთი

✦ სინოდის დადგენილება. სინოდმა დაადგინა, აღდგენილ იქმნეს ყველა სემინარიების ყველა კლასებში ეგზამენები.

✦ სამსახურიდან გასვლის მიზეზი. ამას წინად სამსახურიდან გავიდა მოსკოვის გრადონაჩალნიკი გენ. რეინბოტი. მიზეზი შემდეგი ყოფილა: რეინბოტს სამსახურიდან დაუთხოვია ერთი ბოქაული, რომელიც თურმე მექრთამეობდა. ამის გამო მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა შეატყობინა რეინბოტს, რომ ჩემდა დაუკითხავად პოლიციელებს ნუ დაითხოვთო. რეინბოტმა იწყინა ეს ბრძანება და სამსახურიდან გავიდა.

✦ პოლონეთში, როგორც ვიცით, პოლონეთის გენ.-გუბერნატორმა მოსპო პოლონეთის „მატიცა“. თავისი განკარგულება მან ასე დაასაბუთა: ივარშავაში მომხდარ მატიცას კრებიდან გამოირკვა, რომ მატიცას მთავარ მიზნად, განათლების მაგიერად გაუხდია ვიწრო ნაციონალისტურ განკერძოების აზრის გავრცელება ხალხში, რომ კრებამ არ მოისურვა თავის სკოლებში რუსული ენის კარგად სწავლება, რომ მატიცას ადმინისტრაციამ ხალხის განათლების საქმე ხელში ჩაუგდოს სეპარატისტებს [illegible].

[illegible] პოლონეთი სამინლად აღელვა გერმანიის კანონ-პროექტმა შესახებ იმისა, რომ პოლონელების მიწები ძალით იქმნეს გამოსყიდული. ჯერ-ჯერობით პოლონელებმა გერმანელებს იმით გასცეს პასუხი, რომ მათ საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს. ასეთსავე გზას დაადგნენ პოლონელები ავსტრიაშიაც. ბოიკოტის აზრი სწრაფად მოედო მთელ პოლონეთს, რომელიც აღარ ყიდულობს გერმანულ საქონელს.

## დეპეშა

9 დეკემბერი.

ბაქო. ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაში კიდევ 6 თვით იქმნა შემოღებული გაძლიერებულ დაცვის წესები.

სევასტოპოლი სამხედრო საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე შესახებ შეიარაღებულ აჯანყებისა ბესარაბიის პოლკში და გადაწყვიტა: 4-ს დახვრეტა, 9 ს—კატორგა, 14-ს გამასწორებელი რაზმი, კაპიტან დევგაზეკის—16 თვით დაპატიმრება და სამსახურიდან დათხოვნა. 23 სალდათი გაამართლეს.

თეირანი. სპარსეთში მოძრაობა არ ქრება. პროვინციებში სრული ანარხიაა. თავრიზიდან 60 ვერსის მანძილზე გაცარცვეს ურმიის რუსულ საკონსულო, ფოსტა გაიტაცეს, დარაჯი მოჰკლეს. სპარსეთის ჯულფაში თოფები დაუშინეს რუსეთის ქვეშევრდომთა ბინას.

პეტერბურგი. პეტერბურგის საიდუმლო პოლიციამ შეიტყო, რომ პეტერბურგში შესდგა ჯგუფი სოც.-რევოლ. მაქსიმალისტებისა, რომელთაც აზრად ჰქონდათ მოეხდინათ დიდი ექსპროპრიაცია და ამ ფულით მოეწყოთ უმაღლეს პირთა მოკვლის საქმე. პოლიციამ დაასწრო და 1 დეკემბერს ზოგიერთების ბინა გაჩხრიკა, აღმოაჩინეს მრავალი იარაღი, პატრონები, ყუმბარა, პასპორტები, საიდუმლო მიწერ-მოწერა, 1 ფუთზე მეტი მელინიტი, 30 გირვანქა პიროქსილინი, პატრუქები და აფეთქებული სხვადასხვა ასაფეთქებელი მასალა და ყუმბარების დასამზადებელი იარაღი. დააპატიმრეს 5 კაცი.

ეკატერინოსლავი. წრეულს, ზაფხულში ახლად გაწვეულმა სალდათებმა უწესობა მოახდინეს და შეურაცხყოფა მიაყენეს ხოდიცკიდს. ეს საქმე სამხედრო სასამართლომ გაარჩია და გადაწყვიტა: 4-ს რვა წლით კატორგა, 7-ს—დაპატიმრება ორის თვიდან 6 თვემდე.

რედაქტორ-გამომცემელი ე. ბველიშვილი.

## განცხადებანი

1907 წელს დეკემბრის 6 დღესა ტფილისის ტრაქტირების, ღვინის სარდაფების, სირაჯების და სამიკიტნოების პატრონთა, ტფ. გუბერნატორისაგან ნებადართულმა კრებამ, გრიგოლ ალექსის ძის იალაღოვის თავმჯდომარეობით, იქონია მსჯელობა შემთანხმებელ კომისიის მოხსენებაზედ.

კომისიამ წარუდგინა კრებას ის პირობანი, რომლებზედაც იქონია მოლაპარაკება კომისიამ მომუშავეთა წარმომადგენლებთან, ამასთან გააცნო კრებას, რაში არ დასთანხმდნენ კომისიას, რა შესწორება შეიტანეს პირობების მუხლებში და რა საბუთები წარმოადგინეს მომუშავეთა წარმომადგენლებმა, ან ახალი რა მოთხოვნილებანი წარმოუდგინეს კომისიას; აგრეთვე განუცხადა კომისიამ, რომ კრებას ნებაა, ისურვებს, მოსპობს კომისიისაგან შემუშავებულ პირობებს და ახალს შეიმუშავებს, ან შეასწორებს; თუ ისურვებს, მომუშავეთა წარმომადგენლებისაგან შესწორებით მიიღებს, ან ახლად აირჩევს სხვა პირთაგან კომისიას და ჩემს მიანდობს საქმის დაბოლოებას.

ორატორებმა დაასაბუთეს და კრებამაც ერთხმად აღიარა, რომ მიზეზი შეუთანხმებლობისა მომუშავენი კი არ არიან, რომელთაც ნათლად იციან ვაჭრების მდგომარეობა, იციან, რომ ვაჭრობა იმ ხარჯებსაც რიგზე ვერ უძლებს, რომლებიც აწევს, მთავარი მიზეზი შეუთანხმებლობისა არიან თვითონ ვაჭრები, რომელნიც, ზოგნი მოშიშობის გამო, ზოგნი სიხარბის გამო, ამუშავებენ გაფიცულ ბიჭებს იმ პირობით, როგორც გადაწყდება, ისე გაგისწორდებითო და ეს საბუთად გაუხდიათ, ვითომც აკმაყოფილებენო. არიან ისეთი ვაჭრებიც, რომელთაც ვითომ დააკმაყოფილეს მომუშავეთა მოთხოვნილებანი სავსებით და ამათი სახელები გამოქვეყნებული იყო რამდენჯერმე მომუშავეთაგან გაზეთებში; მეორე მთავარი მიზეზი შეუთანხმებლობისა არიან მომუშავეთა აბლაკატები, რომელთაც მომუშავეთა ოფლის ჭამა ხელობად გაუხდიათ, ერთხელ ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებულებს ახალი ბატონები გასჩენიან და ხელიდან არ უშვებენ არც მათ და არც მათ ნაოფლარს, ჩვენ უნდა ვეცადნეთ მათ განთავისუფლებასა, რადგანაც უმრავლესობა მომუშავეთა თანახმანი არიან ჩვენს პირობებზედ და ისინი ეღობებიან წინა; მესამე მიზეზთაგანი შეუთანხმებლობისა და საქმის არევ-დარევისა არიან ის გაზეთები, რომლებიც ათას ჭორებს ჰბეჭდვენ ვაჭრებზედ, უსამართლოდ ლანძღვენ, მრავალ ცილსა-სწამებენ და პასუხს თავის გასამართლებელს არ უბეჭდავენ ვაჭრებს, რითაც შეცდომაში შეჰყავთ თვით მომუშავენიც და საზოგადოებაც. კრებამ ერთხმად დაადგინა, თუ შემდეგშიაც ასევე მოიქცევიან, არც გამოიწერონ, არც განცხადება მისცენ და არავითარი დახმარება არ აღმოუჩინონ, ცალ-მხრივ მოაზრე და მშვიდობიან მომუშავე მოქალაქეთა შორის შფოთის შემტან გაზეთებს; გამოეცხადოს მოღალატე ვაჭრებს ზიზღი და გაკიცხვა, მიეცეთ მათ წინადადება ნუ ღალატობენ და მომუშავენიც ჩვენთან საერთო პირობებით დაიჭირონ.

ამის შემდეგ მუხლ-მუხლად წაკითხულ იქმნა კომისიისაგან შემუშავებული პირობანი და მიიღო კრებამ შემდეგი სახით.

სავალდებულო პირობანი ტრაქტირებისა, ღვინის სარდაფებისა, სირაჯებისა და სხვათა ვაჭართ და მათ მომუშავეთა შორის.

1. სამუშაო დღედ უნდა ითვლებოდეს ცხრა საათის ხალასი მუშაობა, გარდა სადილისა, საუზმისა და ჩაის დროისა.

2. მოსამსახურენი მუშაობენ კვირა-უქმე დღეებშიაც, ხოლო სრულიად თავისუფალნი არიან მუშაობისაგან შემდეგ დღეებში: ახალ წელიწადს, წყალ-კურთხევას, აღდგომას, შობას და თამარობას, ყოველთვის თითო დღეს. ამ დღეებში ვაჭრებს, თუ უნდათ, შეუძლიანთ ივაჭრონ.

3 დაქირავება მოსამსახურისა ვაჭრის უფლებას შეადგენს, თვითონ ეძებს მომუშავეს და იჭერს, ვინც უნდა.

4. მოსამსახურე თავის საქმეს მუყაითად უნდა ეკიდებოდეს, მოსამსახურე არ უნდა ქურდობდეს, არ უნდა ლოთობდეს, თუ ქურდობა, ან ლოთობა დაუმტკიცდება, ვაჭარს უფლება აქვს დაითხოვოს და ის მოსამსახურე არც ერთმა ვაჭარმა არ უნდა მიიღოს.

5. თუ ვაჭრის ნება დაურთველად მოსამსახურე დაანებებს თავს საქმეს, პირველს ორს შემთხვევაში გაფრთხილება და საყვედური გამოეცხადება მოსამსახურეს, მესამეჯერ კი ვაჭარს უფლება აქვს დაითხოვოს ამისთანა მოსამსახურე.

6. მოსამსახურე მოვალეა ზრდილობიანად მოექცეს ვაჭარს, ვაჭრის ოჯახობას და მუშტარს, უკეთუ უზრდელობას არ მოიშლის, ვაჭარს შეუძლიან დაითხოვოს ამისთანა მოსამსახურე; ვაჭრებიც მოვალენი არიან ზრდილობიანად მოექცნენ მომუშავეთ და მათ ოჯახობის წევრთ.

7. უკეთუ ვაჭრის საქმე დაეცა და ვერ იტანს მოსამსახურეთა შენახვას, ვაჭარს შეუძლიან დაითხოვოს მოსამსახურენი, ხოლო თუ მიზეზი სეზონიური არ არის, სეზონიური მიზეზით დათხოვნა არ შეიძლება წლობით მოვაჭრესაგან.*)

8. უკეთუ მოსამსახურე დაითხოვოს ვაჭარმა მიზეზის დაუსახელებლივ, ერთი თვის ჯამაგირი ზედ-მეტად მისცეს და ისე დაითხოვოს.

9. მოსამსახურე გარდა პირდაპირის საქმისა, მოვალეა გაეგზავნოს კიდეც სხვაგან საქმეზედ, წაიღოს და მოიტანოს ნახევარ ფუთამდე სამუშაო საათებში.

10. მოსამსახურე პასუხს აგებს ყველა გაფუჭებულ საქმეზედ, თუ დაუდევნელობით, გაუფრთხილებლობით და ან განგებ დალევრის, ან გასტეხს, ან სხვა ზარალს მიაყენებს, ზარალი ჯამაგირით უნდა აუყენოს მოსამსახურემ.

11. ერთი წლის სამსახურის შემდეგ მოსამსახურეს შეუძლიან ისარგებლოს ორი კვირის დასვენებით, ხოლო წასვლა შეიძლება რიგ რიგობით. წასულს ჯამაგირიც ეძლევა და ადგილიც ენახება ორი კვირით.

12 მოსამსახურეს არა აქვს ნება ითამოვლის ვაჭრის ნებართვის გარეშე სხვა სამსახურში [illegible] იმსახუროს.

13. ავადმყოფობის დროს, გარდა ვენერიული ავადმყოფობისა, წამლობა ერთ თვემდე ვაჭრის ხარჯზედ, ადგილიც ენახება და ჯამაგირიც ეძლევა ერთ თვემდე. თუ მოსამსახურე დაშავდება ვაჭრის საქმეზედ, წამლობა ვაჭრის ხარჯზედ გაგრძელდეს.

14. მოსამსახურეთა რიცხვის მომატებას და დაკლებას ვაჭარი სწყვეტს სხვების ჩაურევლად.

15. ბინას აძლევს მოსამსახურეს ვაჭარი, თუ შესაფერი ადგილი არ არის სავაჭროში, აძლევს ფულს, როგორც მორიგდებიან.

16. ჯამაგირი უნდა მიიღონ მოსამსახურეებმა თვე და თვე, ყოველ თვის ბოლოს.

17. მოსამსახურეს ეძლევა სუფთა ფეშტამალი, როცა საჭიროა.

18. მოსამსახურეს თვეში ერთხელ ეძლევა აბანოს და დალაქის ფული ათი შაური.

19. გაფიცვის დროისა არაფერი არ ეძლევათ გაფიცულთ: არც ბინა, არც ჯამაგირი და არც სასმელ-საჭმელი.

20. მომუშავეთ არა აქვთ ნება სამუშაო საათებში უცხო პირთა მიღება და მასთან საუბარის გაბმა.

აღნიშნული 20 მუხლის მიღების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: 1. გაკეთდეს სამოსამსახურო წიგნაკები და შიგ შეტანილ იქმნას ეს სავალდებულო პირობანი, დაურიგდეს ყველა ვაჭრებს თვითველ ბიჭისათვის; 2. ეს პირობანი სავალდებულოა ყველა ვაჭრებისთვის; 3. თანახმად წინანდელი კრების დადგენილებისა, ვინც ვადას გადააცდინა და მუშაობა არ დაიწყო, დათხოვნილად ითვლებიან, ვაჭრები თუ უნდათ ძველებს დაიჭერენ, თუ უნდათ მათ მაგიერებს ახლებს დაიჭერენ; 4. ამ სავალდებულო პირობათა შესრულებისათვის თვალ-ყურის დევნა და სისრულეში მოყვანა ევალებათ ვაჭრების პროფესიულ საზოგადოების ორგანიზაციებს; 5. ეს სავალდებულო პირობანი და კრების სხვა დადგენილებანი უცვლელად გამოქვეყნებულ იქმნას ბეჭდვითი სიტყვით.

საზოგადო კრების თავმჯდომარე გრიგოლ ალექსის ძე იალაღოვი.

(1—6.—1)

*) ეს მუხლი არ არის სავალდებულო ზაფხულობით ბაღებში მოვაჭრეთათვის.


გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილლერის თხზულება

ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი“-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—6.—18)

მასწავლებელი ქალები

იყვანენ მოწაფეებს მოსამზადებლად. ამეორებინებენ გაკვეთილებს როგორც სახლში, ისე თავიანთთან, აგრეთვე იყვანენ პანსიონერებად ან ნახევარ პანსიონერებად.

ადრესი: ავლაბარი, მარტყოფისა და ასსერვატორიის ქუჩების კუთხეში. დილის 8—2 საათამდის. (10—10)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

საჭიროა

თანამშრომელნი ორისავე სქესისა

საქსოვ სამუშაოსათვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

პირველი კავკას. ამხანაგობა

მსწრაფლ-მქსოვ მაშინების შინაური წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ № 15 и 5. (100—71—91)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.